



არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამა 2014 წლის ანგარიში

1. არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა

თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული, პროკურორი უფლებამოსილია იგი განარიდოს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, პროკურორი დაუკავშირდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - პრობაციის ეროვნულ სააგენტოს და გადასცემს არასრულწლოვანის საქმეს. სააგენტო უზრუნველყოფს არასრულწლოვნის საქმის სოციალური მუშაკისთვის დაწერას, რომელიც შეიმუშავებს არასრულწლოვნის შეფასება-დახსიათებას, რის საფუძველზეც განისაზღვრება, თუ რა კონკრეტული პირობების შესრულება იმოქმედებს დადებითად არასრულწლოვანზე და შეუწყობს ხელს მის გამოსწორებას. მხარეებთან შეთანხმებით დგება სამოქალაქო ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერენ არასრულწლოვანი, მისი მშობლები, პროკურორი, სოციალური მუშაკი და დანაშაულის შედეგად დაზარალებული პირი. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, არასრულწლოვანს გაეწევა მისთვის საჭირო სერვისები და დაეკისრება მოვალეობები დაზარალებულის ან საზოგადოების წინაშე. არასრულწლოვანს დაეხმარებიან სახელმწიფო და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები. პროგრამის ძირითადი მიზანია, საზოგადოებას დავუბრუნოთ სრულყოფილი მოქალაქე. ამიტომ არასრულწლოვანის რეაბილიტაციას და სოციალურ რეინტეგრაციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

არასრულწლოვანის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სოციალური მუშაკი. არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ არასრულწლოვანმა არ გამოიყენოს მისთვის მიცემული შანსი და დაარღვიოს ხელშეკრულების პირობები. ამ შემთხვევაში, სოციალური მუშაკი არასრულწლოვანის საქმეს კვლავ პროკურორს დაუბრუნებს. პროკურორი კი უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ამ არასრულწლოვნის მიმართ. ასეთი შესაძლებლობის არსებობამ, კარგად უნდა დააფიქროს არასრულწლოვანი და უზრუნველყოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

2. 2014 წელს განხორციელებული ცვლილებები განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში

აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიმდინარეობისას გამოიკვეთა არაერთი ხარვეზი, რის გამოც გადაწყდა შესულიყო ცვლილება „განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების

დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216 ბრძანებაში, ასევე საქართველოს საჯელადსრულებისა და პრობაციის მინისტრისა და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის ბრძანებებში.

2014 წლის ნოემბერში განხორციელდა მნიშვნელოვანი და არსებითი ცვლილებები არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში აღნიშნული ცვლილებებით აღმოსაფხვრა პროგრამის პირველ ეტაპზე დაშვებული შეცდომები და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, პროგრამა გადავიდა ახალ ეტაპზე:

- ✓ აღმოიფხვრა ხარვეზები, რაც ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობას. იუსტიციის მინისტრის ცვლილებებამდე მოქმედ ბრძანებაში მითითებული იყო, რომ განრიდების პროგრამა ვრცელდებოდა მხოლოდ პირველად ჩადენილ დანაშაულზე, რაც პირველ რიგში, ეწინააღმდეგებოდა თავად ბრძანების სხვა მუხლებს, კერძოდ დანაშაულთა ერთობლიობის დაშვებას. შესაბამისად, ცვლილება შევიდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში, გაუქმდა პირველად ჩადენილი დანაშაულის ცნება და პროგრამა გავრცელდა არასრულწლოვნებზე, რომლებსაც არ აქვთ ნასამართლობა და არ არიან მანამდე განრიდებულები.
- ✓ განრიდებისა და მედიაციის პროგრამა გავრცელდა მძიმე დანაშაულებზე. იუსტიციის მინისტრის ცვლილებებამდე მოქმედი ბრძანება შესაბამისობაში იყო მოსაყვანი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან, სადაც დაშვებულია, რომ განრიდებისა და მედიაციის პროგრამა ვრცელდება როგორც ნაკლებად მძიმე, ასევე მძიმე დანაშაულებზე, ამ ბრძანებით კი შეზღუდული იყო პროგრამა მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულებით. გარდა ამისა, დღეს პროგრამა უკვე მზადაა დაეხმაროს უფრო რთული პრობლემების მქონე ბენეფიციარებსაც. პროგრამაში ჩართული პროფესიონალებისათვის 2013 წლის ბოლოს და 2014 წლის განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით ჩატარდა არაერთი ღონისძიება. კერძოდ, მედიატორებს ჩაუტარდათ სემინარები და ტრენინგები, ისინი მოემზადნენ ცვლილებებისათვის. კვალიფიკაცია აიმაღლეს პროკურორებმაც და მზად არიან იმუშაონ არასრულწლოვნებთან. პროგრამაში ჩართული სოციალური მუშაკების რიცხვი გაიზარდა და დღეს უკვე ქვეყნის ყველა რეგიონში არის სოციალური მუშაკი.
- ✓ ცვლილების თანახმად, განრიდებისა და მედიაციისთვის აუცილებელი პირობად აღარ განისაზღვრება არასრულწლოვნის მზადყოფნა, ბოდიში მოიხადოს დაზარალებულის წინაშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ანაზრაუროს ზიანი, ასევე დაზარალებულის უარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე. აღნიშნული გარემოებები შეიძლება ასახულ იქნეს ხელშეკრულების პირობებად.
- ✓ ცვლილებების შედეგად მედიატორი ადრეულ ეტაპზევე ჩართვება განრიდებისა და მედიაციის პროცესში. აღნიშნული ცვლილების საჭიროება განაპირობა პრაქტიკამ. ცვლილებებამდე მოქმედი ნორმების მიხედვით, დაზარალებულს პროგრამის არსს და საჭიროებას აცნობდა პროკურორი. პრაქტიკამ აჩვენა, რომ პროკურორები ხშირად ვერ ახერხებენ საჭირო დონეზე დაზარალებულთან კომუნიკაციას, დროის უქონლობის

და სხვა მიზეზების გამო უჭირთ დაზარალებულისათვის პროგრამის მიზნებისა და არსის ახსნა და მათი დათანხმება მედიაციის პროცესში ჩართვაზე. ცვლილებების შემდეგ, მედიატორი პროცესში ერთვება პირველივე ეტაპიდან. როგორც კი პროკურორი მიიღებს გადაწყვეტილებას განარიდოს არასრულწლოვანი, მედიატორი ხვდება დაზარალებულს, უხსნის პროგრამის არსს და სთავაზობს მიიღოს მონაწილეობა მედიაციაში. ეს კი, თავის მხრივ, მოგვცემს საშუალებას უფრო მეტი დაზარალებული ჩავრთოთ სამართლიანობის აღდგენის პროცესში და მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ მათი მოთხოვნები. შესაბამისად, მივიღებთ უფრო მეტ „კმაყოფილ დაზარალებულს“. აღნიშნული ცვლილება, ასევე, ხელს შეუწყობს პროგრამის კიდევ უფრო მეტად დაახლოებას აღდგენითი მართმსაჯულების პრინციპებთან და შეამცირებს პროკურორის ჩართულობას პროგრამაში.

- ✓ მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პროცედურის დახვეწის კუთხითაც. ცვლილებებამდე არ არსებობდა პროგრამაში ჩართული პროფესიონალებისათვის სამოქმედო ვადები, რასაც ხშირად ძალიან ცუდ შედეგებამდე მივყავდით. იყო შემთხვევები, როდესაც განრიდების ხელშეკრულება გაფორმდა დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე თვის შემდეგ ან წლის შემდეგაც კი. აღნიშნული კი, უშლიდა ხელს არასრულწლოვანს დანაშაულის გაცნობიერებაში და - იმასაც, რომ დაზარალებულს არ ჰქონდეს უსამართლობის შეგრძნება. ამ შემთხვევაში, ფაქტიურად, პროგრამის არსი იკარგება და შეუძლებელი ხდება დასახული მიზნების მიღწევა. ამას გარდა, ვადების არარსებობის გამო მომხდარა ისეც, რომ განხორციელებულა ფორმალური, არაფრისმომცემი მედიაცია. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად ცვლილებებით, პროგრამაში ჩართულ პროფესიონალებისათვის დაწესდა ვადები და უკვე არსებული ვადები, პრაქტიკის მიხედვით გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, გაიზრდა-დაიხვეწა.
- ✓ აღსანიშნავია, რომ პროგრამის განხორციელებაში შექმნის დღიდანვე იყო ჩართული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დანაშაულის პრევენციის ცენტრი, რომლის მიერ ხორციელდება პროგრამის ზოგადი მენეჯმენტი, პროკურორების, სოციალური მუშაკებისა და მედიატორების კოორდინირება და მათთვის განრიდების საკითხებში პროფესიული დახმარების გაწევა. ამასთან, ცენტრში დასაქმებულები არიან მედიატორები, რომლებიც წარმართავენ მედიაციის პროცესს, თუმცა, ცვლილებებამდე ბრძანებაში არ იყო ნახსენები და გამოკვეთილი ცენტრის როლი განრიდებისა და მედიაციის. შესაბამისად, ცვლილებით კიდევ უფრო გამოიკვეთა ცენტრის ფუნქციები.
- ✓ ზემოხსენებულ მნიშვნელოვან და შინაარსობრივ ცვლილებებთან ერთად, განხორციელდა ბრძანებაში არსებული სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი ხარვეზების აღმოფხვრაც, რამაც განრიდებისა და მედიაციის პროგრამა უფრო ეფექტური და მოქნილი გახადა.

3. 2014 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი აქტივობები

განრიდებისა და მედიაციის საკოორდინაციო მექანიზმის გაძლიერებისა და პროგრამაში მონაწილე პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის ორგანიზებით და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით 2014 წლის მაისის ჩათვლით ჩატარდა ტრენინგები. კერძოდ, 2014 წლის 30 იანვარიდან 4 თებერვალამდე განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში მონაწილე თბილსში მომუშავე პროკურორებისათვის, მედიატორებისათვის და სოციალური მუშაკებისათვის ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში ჩატარდა ტრენინგი, რომელსაც დაესწრო პროგრამაში ჩართული 50 პროფესიონალი. ტრენინგის ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიზნებსა და ამოცანებს, ასევე მოხდა მათთვის პროგრამის შედეგების წარდგენა, ამავე ტრენინგში გათვალისწინებული იყო პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სპეციალური სესიების ჩატარება.

2014 წლის 7-8 მარტს დანაშაულის პრევენციის ცენტრში ჩატარდა ტრენინგი მედიატორებისათვის, რომელსაც უძღვებოდა ფსიქოლოგი და მედიაციის ექსპერტი ჯანა ჯავახიშვილი, შეხვედრის ფარგლებში კვალიფიკაცია აიმაღლეს დანაშაულის პრევენციის ცენტრის 11-მა მედიატორმა და პროგრამის მენეჯერებმა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მედიატორების მომზადებას სამომავლო ცვლილებებისათვის.

გარდა ამისა, 2014 წლის მარტში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული რაიონული პროკურორებისა და პრობაციის ბიუროს უფროსებისათვის, რომელსაც ესწრებოდა 32 მენეჯერული პოზიციის მქონე პროკურორი და 12 პრობაციის ბიუროს უფროსი, ამავე შეხვედრას დაესწრნენ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორი, მთავარი პროკურორის მოადგილე და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი. შეხვედრა გაიმართა ყვარლის იუსტიციის სასწავლო ცენტრში 27-31 მარტს 2 ნაკადად.

2014 წლის 14-16 მაისს PH International-თან თანამშრომლობის ფარგლებში, ჩატარდა ტრენინგები მედიატორებისათვის, რომელსაც უძღვებოდნენ ამერიკელი ექსპერტები - ემი ჰალოვეი (ვერმონტის სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაზარალებულთა სერვისების პროგრამების დირექტორი) და ქეით სირლს ბრაიტონი (საზოგადოებრივი მართლმსაჯულების ცენტრის დირექტორი). ტრენინგებზე ამერიკელმა ექსპერტებმა თავიანთი გამოცდილება და ცოდნა გაუზიარეს ქართველ მედიატორებს, განიხილეს რამდენიმე კონკრეტული შემთხვევა მათი პრაქტიკიდან და შემდეგ როლური თამაშის საშუალებით მედიატორებმა თავად დაინახეს პრაქტიკაში როგორ გამოიყენება მედიაციის ამერიკული მოდელი. შეხვედრაზე ასევე წარიმართა საინტერესო დისკუსია საქართველოში მათი გამოცდილების დანერგვის საკითხთან დაკავშირებით. ექსპერტებმა ამავე ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გამართეს „სისხლის სამართლის რეფორმის საკოორდინაციო საბჭოს“ ფარგლებში სხვადასხვა უწყების წარმომადგენლებთან. ტრენინგს ესწრებოდა 11 მედიატორი, 3 სოციალური მუშაკი და განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მენეჯმენტის წარმომადგენლები.

2014 წელს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრმა პროფესიონალების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, ჩატარა

ერთობლივი სამუშაო შეხვედრები განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალებისათვის (პროკურორების, სოციალური მუშაკების/პრობაციის ოფიცრების და მედიატორების) საქართველოს ყველა რეგიონიდან..საერთო ჯამში, ჩატარდა 3 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 85-მდე პროფესიონალმა, მათ შორის 35-მდე სპეციალიზებულმა პროკურორმა, 35-მდე სოციალურმა მუშაკმა/პრობაციის ოფიცრმა და 11-მა მედიატორმა. თითოეული შეხვედრის ხანგრძლივობა იყო 3 დღე. ჩატარებულმა სამუშაო შეხვედრებმა ხელი შეუწყო ადგილობრივ დონეზე განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული პროფესიონალების საკოორდინაციო და, მათ შორის, კომუნიკაციის მექანიზმების გაძლიერებას. სამუშაო შეხვედრების ნაწილი დაეთმო პროფესიონალთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ნაწილი კი მათ შორის კომუნიკაციის გაღრმავებას.

2014 წლის დეკემბერში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის 4 წლის იუბილესთან დაკავშირებით, სადაც შეჯამდა გასული წლის შედეგები და განხილული იქნა ეს შედეგები გასული 4 წლის შედეგებთან მიმართებაში. შეხვედრას ესწრებოდნენ იუსტიციის მინისტრის და მთავარი პროკურორის მოადგილეები, დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორი და პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი. ფასიანი საჩუქრებითა და სუვენირებით დაჯილდოვდნენ განრიდებისა და მედიაციის პროგრამაში ჩართული 2014 წლის საუკეთესო პროკურორები, სოციალური მუშაკები და მედიატორები. ამავე შეხვედრაზე დასახული იყო სამომავლო გეგმები, განხილული იქნა პრაქტიკაში წამოჭრილი პრობლემები და დაისახა მათი გადაჭრის გზები.

4. პროგრამის შედეგები

2014 წელს განმავლობაში განრიდებულ იქნა 203 არასრულწლოვანი. აქედან 8 არასრულწლოვანმა ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული.

203 განრიდებიდან 36 არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებულ იქნა მედიაცია და შედგა 28 მედიაციის საერთო შეხვედრა (მათ შორის 6 იყო ჯგუფური მედიაცია, ხოლო დანარჩენი ინდივიდუალური.) აღსანიშნავია, რომ იყო შემთხვევები, როდესაც არსებობდა დაზარალებული, თუმცა მათ უარი განაცხადეს მედიაციაში მონაწილეობის მიღებაზე.

2010 წლიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განრიდებულ იქნა 742 არასრულწლოვანი.

2014 წლის სტატისტიკური მონაცემები რაიონული პროკურატურების მიხედვით:

ქუთაისის რაიონული პროკურატურა	9
ზესტაფონის რაიონული პროკურატურა	-
საჩხერის რაიონული პროკურატურა	6
სამტრედიის რაიონული პროკურატურა	5
ამბროლაურის რაიონული პროკურატურა	-

გურჯაანის რაიონული პროკურატურა	9
სიღნაღის რაიონული პროკურატურა	1
თელავის რაიონული პროკურატურა	7
ახალციხის რაიონული პროკურატურა	21
ახალქალაქი-ნინოწმინდის რაიონული პროკურატურა	6
ფოთის რაიონული პროკურატურა	-
ზუგდიდის რაიონული პროკურატურა	12
სენაკის რაიონული პროკურატურა	3
მესტიის რაიონული პროკურატურა	2
გორის რაიონული პროკურატურა	8
ხაშურის რაიონული პროკურატურა	6
მცხეთა მთიანეთის რაიონული პროკურატურა	4
რუსთავის რაიონული პროკურატურა	9
ბოლნისის რაიონული პროკურატურა	4
მარნეულის რაიონული პროკურატურა	10
ბათუმის რაიონული პროკურატურა	5
ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურა	1
ოზურგეთის რაიონული პროკურატურა	6
თბილისი	65
სხვა	4
სულ	203

2014 წლის სტატისტიკური მონაცემები რეგიონების მიხედვით:

იმერეთი	20
რაჭა	-
კახეთი	17
სამცხე ჯავახეთი	27
სამეგრელო - ზემო სვანეთი	17
შიდა ქართლი	14
მცხეთა-მთიანეთი	4
ქვემო ქართლი	23
აჭარა	6
გურია	6
თბილისი	65
სხვა	4
	203

2014 წლის სტატისტიკური მონაცემები თვეების მიხედვით:

<u>2014</u>	
<u>იანვარი</u>	17
<u>თებერვალი</u>	6
<u>მარტი</u>	15
<u>აპრილი</u>	20
<u>მაისი</u>	25
<u>ივნისი</u>	30
<u>ივლისი</u>	21
<u>აგვისტო</u>	16
<u>სექტემბერი</u>	10
<u>ოქტომბერი</u>	11
<u>ნოემბერი</u>	9
<u>დეკემბერი</u>	23
<u>სულ</u>	203

2014 წლის სტატისტიკური მონაცემები სქესის მიხედვით:

<u>მდედრობით</u>	22
<u>მამრობითი</u>	181
<u>სულ</u>	203

2014 წლის სტატისტიკური მონაცემები ხელშეკრულების ხანგრძლივობის მიხედვით:

<u>1 თვე</u>	25
<u>1.5 თვე</u>	2
<u>2 თვე</u>	52
<u>2.5 თვე</u>	1
<u>3 თვე</u>	89
<u>4 თვე</u>	15
<u>5 თვე</u>	10
<u>6 თვე</u>	9
<u>7 თვე</u>	-
<u>8 თვე</u>	-
<u>9 თვე</u>	-
<u>10 თვე</u>	-
<u>11 თვე</u>	-
<u>12 თვე</u>	-
<u>უცნობი</u>	-
<u>სულ</u>	203

2010-2014 წლის სტატისტიკური მონაცემები ხელშეკრულების მიმდინარეობის მიხედვით (2015 წლის 15 იანვრის მონაცემებით):

წარმატებით დასრულებული საქმე	610
მიმდინარე საქმე	37
სასამართლო განაჩენით დადასტურებული განმეორებითი დანაშაული	37
მაღალი ალბათობით ჩადენილია განეორებითი დანაშაული	23
სხვა	35
სულ	742

5. განრიდებულ არასრულწლოვანთა ხელშეკრულების ხშირად გამოყენებული პირობები - სერვისები და ვალდებულებები

განათლება:

- მომხდარი ფაქტის ამსახველი გარემოებების შესახებ დაწეროს მოთხრობა/თემა;
- ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გააცდინოს სკოლა, გააუმჯობესოს სკოლაში სწავლის ხარისხი;
- წაიკითხოს მხატვრული ლიტერატურა და წერილობით გადმოსცეს თავისი დამოკიდებულება ნაწარმოებთან დაკავშირებით;
- დაწეროს თემა ალკოჰოლური და ენერგეტიკული სასმელების ზეგავლენის შესახებ
- მოიძიოს და გააანალიზოს ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკა
- მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო აქტივობებში, ტრენინგებში
- მოამზადოს პრეზენტაცია სასკოლო გაკვეთილების ფარგლებში
- მიიღოს საბაზისო ცოდნა სამართალში
- ჩაერთოს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის საგანმანათლებლო წრეში
- ინტერნეტით მოიძიოს ინფორმაცია ჯანსაღი ცხოვრების წესისა და მავნე ნივთიერებების ზეგავლენის შესახებ
- შეისწავლოს საგზაო მოძრაობის წესები და გაეცნოს კანონს „საგზაო მოძრაობის შესახებ“
- ინტერნეტის მეშვეობით მოიპოვოს ინფორმაცია მისთვის საინტერესო ისტორიული გმირის შესახებ და მოამზადოს იმ ეპოქის მცირე ისტორიული აღწერა, რომელშიც აღნიშნული გმირი მოღვაწეობდა
- მოიძიოს, გაეცნოს და წარმოადგინოს წერილობითი შეხედულება თამბაქოს ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზეგავლენის შესახებ
- შეისწავლოს მწერალის/პოეტის ბიოგრაფია
- ექსკურსიაზე გამგზავრებამდე, მოიძიოს ინფორმაცია ქუთაისთან ახლოს მდებარე ისტორიული ძეგლების შესახებ და გადასცეს თანაკლასელებს
- ბიძის დახმარებით შეისწავლოს ავტომანქანის შეკეთება
- ისწავლოს ქსოვა, მოქსოვოს რამდენიმე წყვილი წინდა და გადასცეს მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს
- უყუროს ისტორიული ხასიათის ფილმს
- დაესწროს საჯარო ლექციას
- დაწეროს თემა კონფლიქტის თავიდან აცილების საშუალებების შესახებ

- წერილობით გადმოსცეს როგორი დამოკიდებულება ჰქონდა დანაშაულისადმი მისი ჩადენის მეორე დღეს
- ისწავლოს მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა
- დაწეროს თემა რა შეიძინა და რა შეიცვალა მისმა პიროვნებამ განრიდების პროცესში ჩართვით
- იაროს ახალგაზრდული ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ ქართული ენის შემსწავლელ კურსებზე
- გაიაროს ტრენინგ კურსი ძალადობის შესახებ
- ჩაერთოს ლიდერთა სახლის საგანმანათლებლო პროექტებში

სპორტი:

- იაროს ძიუდოს წრეზე
- იაროს ორთაბრძოლის შესასწავლ ვარჯიშებზე
- იაროს ფეხბურთის წრეზე
- შეამციროს ვარჯიშის ხანგრძლივობა
- ორგანიზება გაუწიოს ფეხბურთის მატჩს მწვრთნელის დახმარებით
- გააგრძელოს ვარჯიში სპორტულ კლუბში
- ჩაერთოს „სახალისო ფეხბურთის ღია სკოლების“ პროგრამაში
- იაროს კინგბოქსის წრეზე

ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია:

- გაიაროს ინდივიდუალური/ოჯახური ფსიქოლოგიური კონსულტაცია ორგანიზაციაში GCRT
- ფსიქოლოგთან გაიაროს კონსულტაცია/თერაპია აგრესიის მართვის უნარისა და თვითკონტროლის გაზრდის მიზნით
- ჩაერთოს „ლიდერთა სახლი“-ს აქტივობებში
- ჩაერთოს ასოციაცია „ათინათი“-ს ახალგაზრდული კლუბის აქტივობებში
- დახატოს ნახატი
- ჩაერთოს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიურ ცენტრში
- ჩაერთოს ტრენინგ კურსში „ჯანსაღი ცხოვრების წესი“
- მონაწილეობა მიიღოს სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის მიერ ორგანიზებულ მოხალისეობირვ აქტივობებში
- ორგანიზაცია GCRT-ის პროექტის გარგლებში ჩაერთოს ტრენინგებში: სოციალური უნარების ტრენინგი. მორალური ზრდის ხელშეწყობა, დანაშაულის გენეზისისა და დანაშაულისადმი დამოკიდებულების გააზრება
- მონაწილეობა მიიღოს ტრენინგში მავნე ჩვევების უარყოფითი ასპექტები
- დაესწროს „ახალგაზრდა კრიმინოლოგთა ჯგუფის“ მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს
- დაესწროს ტრენინგს ასერტულობის შესახებ
- ჩაერთოს ქ. მარნეულის ახალგაზრდული ცენტრის აქტივობებში
- დაესწროს ტრენინგებს: ბრაზის მართვა, ცხოვრებისეული ფასეულობები

- გაიაროს ტრენინგი „ აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულების დაძლევა“
- გაიაროს ტრენინგები: კომუნიკაცია, ასერტული ქცევა

სოციალური და დაზარალებულის წინაშე ვალდებულებები:

- სათნოების სახლში (მოხუცთა თავშესაფარი), დაეხმაროს ადგილობრივ მომსახურე პერსონალს;
- განახორციელოს მოხალისეობრივი საქმიანობა ხანდაზმულთა პანსიონატში
- დაეხმაროს უფასო სასადილოში მომუშავე პერსონალს
- მუნიციპალიტეტის უფასო სასადილოდან საკვები მიუტანოს მოხუცებულებს
- დარგოს ხეები;
- დაასუფთაოს სკოლის ეზო
- დახმარება გაუწიოს ეკლესიის პერსონალს
- მონაწილეობა მიიღოს ეკლესიის მოვლა-პატრონობაში
- დაეხმაროს დაზარალებულს
- დაეხმაროს ციხე-ქალაქ უფლისციხეში, მუზეუმის თანამშრომლებს ტურისტების მომსახურებაში
- დაეხმაროს უმცროსკასელს სასკოლო დავალებების შესრულებაში
- ხეზე კვეთის ცოდნა გაუზიაროს თავის კლასელებს
- მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში აღსაზრდელებს დაუმზადოს და გადასცეს თექის სუვენირები
- დაეხმაროს ოჯახს სამეურნეო საქმიანობაში
- საზაფხულო არდადეგების პერიოდში დასაქმდეს სხვადასხვა სახის სეზონური სასოფლო-სამეურნეო საქმით
- დაეხმაროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს გადაადგილებაში
- მიიღოს მონაწილეობა ტაძრის სარემონტო სამუშაოებში
- დაგეგმოს სპორტული ღონისძიება
- დაეხმაროს დედას სახლის ეზოს დასუფთავებაში
- დაეხმაროს თანატოლს თურქული ენის შესწავლაში და გაიუმჯობესოს თურქული ენის ცოდნის ხარისხი
- კვირაში ორჯერ იმუშაოს შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ სამრეცხაოში
- თვეში ერთხელ განახორციელოს ვიზიტი შშმ ბავშვთა დღის ცენტრში და მომსახურე პერსონალთან ერთად იზრუნოს იქ განთავსებულ ბავშვებზე
- თანატოლებს გაუზიაროს ცოდნა-გამოცდილება სხვადასხვა სახის კონსტრუქციის აგების სპეციფიკის შესახებ
- დაასუფთავოს ლაგოდეხის ტყე-პარკი
- თვეში ერთხელ დაეხმაროს მაღაზიის პერსონალს ინვენტარიზაციის პროცესში
- უცნობ თანატოლს მისწეროს ანონიმური წერილი და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გათვალისწინებით, მისცეს ცხოვრებისეული რჩევა
- წაუკითხოს ლექსი, ან მოთხრობა ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს
- მეგობრების დახმარებით განახორციელოს ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების ერთჯერადი აქციის ორგანიზება

- მეგობრების დახმარებით შეაგროვოს საბავშვო ლიტერატურა და გადასცეს თელავის მცირე საოჯახო ტიპის სახლის აღსაზრდელებს
- დაეხმაროს სათნოების სახლის მომსახურე პერსონალს გადაადგილების პრობლემის მქონე ხანდაზმულებისათვის საკვების მიწოდებაში

სერვისები პროფესიული განვითარებისათვის:

- ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იაროს უცხო ენის შემსწავლელ კურსებზე;
- ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში იაროს კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე;
- იაროს პროფესიულ საგანმანათლებლო ცენტრში
- იაროს მართვის მოწმობის კურსებზე
- გააგრძელოს სწავლა პროფესიულ სასწავლებელში
- არჩეული პროფესიიდან გამომდინარე, წაიკითხოს სამართლის ზოგადი თეორიის შესახებ ლიტერატურა
- იაროს რუსული ენის კურსებზე
- გაიაროს პროფესიული კურსი ორგანიზაცია „თანხმობა“-ში
- შეისწავლოს სარემონტო სამუშაოების შესრულების ხელოვნება
- გაიაროს არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპის მოქალაქის“ სტაჟირების კურსი
- დაეხმაროს მამას სტომატოლოგიურ კაბინეტში
- ორგანიზაცია „კარიტასი“-ს დღის ცენტრში იაროს ხის კვეთის კურსებზე და წარმოადგინოს მის მიერ შესრულებული ნამუშევარი
- პროფესიულ კოლეჯში „ორიენტირი“ დაეუფლოს მის მიერ არჩეულ პროფესიას „კრიმინალური ექსპერტიზა“
- სამომავლო პროფესიის განსაზღვრის მიზნით დარეგისტრირდეს ახალციხის პროფესიულ კოლეჯ „ოპრიზაში“ სასურველ კურსზე
- გაიაროს პროფესიის შემსწავლელი ორთვიანი კურსი არასამთავრობო ორგანიზაცია „თანხმობაში“ და დაეუფლოს ავეჯის აწყოების პროფესიას

სხვა:

- შეამციროს, დღის განმავლობაში კომპიუტერთან გატარებული დრო
- ჩაერთოს პროექტში „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“
- აწარმოოს დღიური
- შექმნას ესკიზი განრიგების პროგრამასთან დაკავშირებით
- ჩაერთოს წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებულ აქტივობებში
- ჩაერთოს საზოგადოებრივი პროკურატურის პროექტში
- შეაგროვოს საკუთარი ნახატები შემდგომში რეალიზების მიზნით